*დანართი №1*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N 1 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის - „FRONT-END დეველოპმენტი“ მონიტორინგის შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები**<br>თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე<br>**წევრები:**<br>დემიდ ფასიეშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი:**219985746**

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის MES 4 25 0000017482 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში.

ვიზიტი შედგა 2025 წლის 24 იანვარს (მისამართი: ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №1). ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-End დეველოპმენტი“ – შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან.

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის გაცხადებული მხარდაჭერის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტებთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის დირექტორს სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, მოდულის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| FRONT-END დეველოპმენტი | 40 | 20 | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

## II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| „FRONT-END დეველოპმენტი“ | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

*მითითებით.*

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა სტანდარტის ინდიკატორთან მითითებით.

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | Front End დეველოპმენტი |
| პროფესიული განათლების დონე | მე-4 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development. |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ.№1 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებულ გარემოში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

| | |
|---|---|
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 40 იმიტირებული |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 20 იმიტირებული |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 40 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 118 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

**კერძოდ:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას "Front End დეველოპმენტი" ახორციელებს ქალაქ ზუგდიდში, აღმაშენებლის N1-ში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად.

დარგობრივი მოდულებისათვის მოწყობილია A/C გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. გარემო განთავსებულია მეორე სართულზე, აღჭურვილია 20 პერსონალური კომპიუტერით(სტუდენტებისათვის), 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 20 სამუშაო ადგილით(მაგიდა,სკამი)

პროგრამაში შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები.

სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული აქვს ფრენბურთი, კალათბურთი და მინიფეხბურთი, რომელიც ტარდება შესასაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში და ეზოში არსებულ სპორტულ მოედანზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით, დაწესებულება სრულ **შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**: ,,Front-end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებულია - 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 20 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 2 დარგის სპეციალისტი. პროფესიული მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ამჟამად უშუალოდ სწავლების პროცესში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის დროს შემოწმდა პირადი საქმეები, ყველა პირადი საქმე მოიცავს დადგენილი ნუსხის შესაბამის დოკუმენტაციას, ასევე ცნობებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულობის არქონის შესახებ.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისია**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:** სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ:დაწესებულებაში ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტებით.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა კომპეტენცია და ცოდნა დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

სკოლამ დამატებით უზრუნველყო პროგრამის განმახორციელებელი პირების უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და მეთოდოლოგიური გადამზადება.ისინი მონაწილეობდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში,რაც დასტურდება ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატებით.მათ ჩაუტარდათ ტრენინგები:

- „შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და სტუდენტის მიღწევების შეფასებაზე ორიენტირებული პრაქტიკის განვითარება“
- „ინტეგრირებული მოდულის სწავლების შესავალი ტრენინგი“

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები:

- ფლობენ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილებას
- იცნობენ კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასების სისტემას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- გამოხატავენ მზადყოფნას ტრენინგებში მონაწილეობისა და სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვისთვის
- მუდმივ კავშირში არიან თავიანთ ტრენერებთან და რეგულარულად აზიარებენ გამოცდილებებს კოლეგებს შორის

აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.3. სრულ შესაბამისობაშია.**

აქედან გამომდინარე **ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია**

**4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. კერძოდ:** პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ასევე არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულების ერთ-ერთი განმახორციელებელი.მისი კომპეტენცია დასტურდება დიპლომით და შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის მოქმედი სპეციალისტი.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-End დეველოპმენტი“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები. ყველა რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით პროფესიული სტუდენტებისთვის.

✓ ელექტრონული სასწავლო რესურსები ჩაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ პერსონალურ კომპიუტერებში, ასევე ბიბლიოთეკის კომპიუტერებში (სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სამი კომპიუტერი).
✓ სტუდენტებს შეუძლიათ რესურსების გადატანა ელექტრონულ მატარებლებზე ან დაბეჭდვა ბიბლიოთეკაში, მათი სურვილის შესაბამისად.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათებით. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქვთ თავისუფლი წვდომა მოდულებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალაზე, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები დამატებით აწვდიან ელექტრონულ რესურსებს.

აქედან გამომდინარე, **დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია და ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში**.

**ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

სსიპ -სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სკოლის პოლიტიკა სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

სსიპ - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 სკოლაში სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების გადაადგილებას სართულებზე.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს ისგ-ს შემუშავების წესსა და პროცედურას, მათ შორის სსსმ პირთათვის.

ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პირი არ სწავლობს, თუმცა სკოლას აქვს სსსმ პირების სწავლების გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია უზრუნველყოს ადაპტირებული სწავლების პროცესის ორგანიზება.

**ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისია**

**7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “Front End დეველოპმენტი” საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 16 პროფესიული სტუდენტით. ამჟამად ჯგუფში ირიცხება 20 სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.

შემოსავლის წყარო განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია:

✓პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება

✓ სასწავლო პროცესის წარმართვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები

საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილი იფარება არსებული შემოსავლებით.

**ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესითა და სამუშაო აღწერილობებით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ინდივიდუალური სასწავლი გეგმის შემუშავების წესით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.02.2025



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---